

შპს "საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი"-ის

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშებო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	9 737 332	8 334 801	8 680 033
სავაჭრო მოთხოვნები	2	349 697	262 513	392 237
გადახდილი ავანსები	2	1 180	1180	41 453
მარაგები	3	192 329	191 102	188 468
სხვა მიმდინარე აქტივები			11 028	2 207
სხვა არამატერიალური აქტივები		7 679	9 034	11 629
ძირითადი საშუალებები	4	7 462 428	7 601 409	7 884 795
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		17 750 645	16 411 067	17 200 823

ვალდებულებები	5			
სავაჭრო ვალდებულებები				
ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		1 557		124 661
საგადასახადო ვალდებულებები		4 369		80 141
გამოუმუშავებელი შემოსავალი		223 135	207 912	169 287
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			11 949	
სულ ვალდებულებები		229 061	219 861	374 089

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1300	1300	1300
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8 146 295	6 814 717	7 434 250
გადაფასების რეზერვი	1 873 872	1 875 071	1 891 184
სხვა რეზერვები	7 500 118	7 500 118	7 500 000
სულ საკუთარი კაპიტალი	17 521 585	16 191 206	16 826 733
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	17 750 645	16 411 067	17 200 823

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2022	2021
ნეტო ამონაგები	3 632 881	3 465 929
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	3 619 779	3 451 628
სხვა	13 102	14 301
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	922 274	874 925
საწყისი მარაგები	-191 102	-188 468
მარაგების შესყიდვა	-3 984	-74 356
გადამუშავების დანახარჯები	-919 517	-803 203
საბოლოო მარაგები	192 329	191 102
საერთო მოგება	2 710 607	2 591 004
სხვა შემოსავალი	60 000	15 027
დასაქმებულთა ანაზღაურება	-715 306	-707 478
ცვეთა და ამორტიზაცია	-309 352	-336 316
საპროცენტო შემოსავალი	431 039	389 152
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	-28 375	-48 500

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-625 947	-328 835
სულ საოპერაციო ხარჯები	-1 187 940	-1 016 951
საოპერაციო მოგება	1 522 667	1 574 053
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	1 522 667	1 574 053
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	16 191 206	16 826 734
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	1 331 578	-619 533
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-1199	-15 995
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17 521 585	16 191 206

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 370 960	1 115 049
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-169 016	-53 300
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	200 585	-1 406 981
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1 402 530	-345 232
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8 334 801	8 680 033
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9 737 332	8 334 801

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“ შემდგომში „სდასუ“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 20 აგვისტოს, რეგისტრაციის ნომერია 5/4-718. მისი ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება.¹

კომპანიის დამფუძნებლები: საზოგადოების 60 პროცენტის წილის მფლობელია თეიმურაზ ქორიძე (პ/ნ 01024004107), 20 პროცენტის წილის მფლობელია თეიმურაზ სართანია (პ/ნ 01024004107), 20 პროცენტის წილის მფლობელია გიორგი სართანია (პ/ნ 01024075293).

კომპანიის დირექტორია თეიმურაზ ქორიძე (პ/ნ 01024004107).

იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი 25,

კომპანიის საწესდებო კაპიტალი: შეადგენს 1300 (ერთიათასსამასი) ლარს.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მაღალხარისხოვანი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, უნივერსიტეტის პერსონალის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

1.3 კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4. არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური საქმიანობის შედეგებში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ბასს გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების, დებიტორული დავალიანებების, ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯები, ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ან დაფარავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.10 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით: შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მის სანაცვლოდ მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები ან სხვა ეკონომიკური სახის კომპენსაცია. შემოსავლების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხდება წმინდა ღირებულებით.

2.11 ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

2.12. შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება წყაროების მიხედვით, ხარჯები კი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწრა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

	31.12.2021	31.12.2021
ფულადი სახსრები სალაროში	841	2349
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	9 736 491	8 332 452
სულ	9 737 332	8 334 801

შენიშვნა 2 . დებიტორები და სხვა მიმდინარე აქტივები

დებიტორულ დავალიანებას წარმოადგენს სწავლის საფასური, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან	349 697	262 514
გადახდილი ავანსები	1180	
სულ	350 877	262 514

შენიშვნა 3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით.

2022 წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის „სდასუს“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით ერიცხება წიგნები , სამედიცინო მედიკამენტები და სხვა საკანცელარიო საგნები

	31.12.2022	31.12.2021
წიგნები	192 329	188 426
სხვა მარაგები		2 676
სულ	192 329	191 102

შენიშვნა 4. ძირითადი აქტივები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით (პირვადელი ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი). ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შენდები წლიური განაკვეთები

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	20 პროცენტი
სხვა ძირითადი აქტივი	15 პროცენტი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	20 პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15 პროცენტი

საბალანსო ღირებულება

31.12.2022 წ.-ის მდგომარეობით

საბალანსო ღირებულება

31.12.2021 წ.-ის მდგომარეობით

მიწის ნაკვეთები	3 000 000	3 000 000
შენობა-ნაგებობები	3 860 032	4 063 191
მანქანა-დანადგარები	207 547	241 044
ოფისის აღჭურვილობა	122 686	123 737
ავეჯი და სხვა ინვენტარი	90 662	99 777
სატრანსპორტო საშუალებები	181 501	73 660
სულ ძირითადი საშუალებები	7 462 428	7 601 409

შენიშვნა 5 ვალდებულებები და სხვა კრედიტორები

ვალდებულებები აღებულია მიმდინარე პერიოდში და მასზე ჩვეულებრივად პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

	31.12.2022	31.12.2021
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		11 949
გადასახდელი გადასახადები	4 369	

მიღებული ავანსი	223 135	207 912
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	1 557	
სულ	229 061	219 861

ფინანსური დანახარჯები

2022 წელს „სდასუ“-ს ბანკის სესხითა და ბანკის ოვერდრაფტით არ უსარგებლია

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

„სდასუ“-ს არ ყავს მეკავშირე საწარმოები და ამდენად ინვესტიციები არა აქვს განხორციელებული.

არამატერიალური აქტივები

„სდასუ“-ს 2021 წელს ბალანსზე აღრიცხული აქვს 7 679 ლარის საბალანსო ღირებულების არამატერიალური აქტივები.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის დასადგენად „სდასუ“-ს ხელმძღვანელობა აკეთებს შეფასებას, ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ: სიმძლავრეს და ფიზიკურ მდგომარეობას, ტექნიკურ მხარეს, გამოყენების ვადას, კომერციულ გამოყენებას და ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა.

საგადასახადო რისკი

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“-ის მიერ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები; კომპანია იხდის ქონების და მიწის გადასახადს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტების შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს რისკს, რითაც შეიძლება ფინანსური ზარალი მიაღწეს უნივერსიტეტს. ხელმძღვანელობა რისკის შესამცირებლად ცდილობს რისკების რეგულირების მექანიზმების შემუშავებას.

ლიკვიდობის რისკი

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არჩეული აქვს პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც ის გონივრულად მართავს მოსალოდნელ ლიკვიდობას შესაბამისი პროცედურებით: აქვს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშების ნაშთები, ფლობს მაღალ ლიკვიდურ აქტივებს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი ქონდა ვალდებულებების და მოთხოვნების კორექტირებას ინვენტარიზაციის გზით. სხვა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 20.04.2023

რექტორი:

მთ.ბუღალტერი :

